საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 5 21 01786438

09/07/2021

შპს ''ეს თი სი"-ს წარმომადგენელს
ქ. თბილისი, ოთარ ჩხეიძის ქუჩა 7;

თქვენს 2021 წლის 8 ივლისის განცხადებაზე
ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ზ.საკანდელიძის ქუჩა ს/კ 01.14.08.001.088; 01.14.08.001.142-ის მიმდებარედ შესასვლელ–გამოსასვლელი გზის, სამშენებლო დამცავი ღობის განთავსების და არსებული საგზაო/სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს თანხმობას (წერილის ნომერი 07/07/2021 16-01211881230), შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- სამშენებლო დამცავი ღობე შეიღებოს შავ-თეთრი ან წითელ-თეთრი ზოლებით;
- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;
- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: 1 ფაილად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

- 1.26 -5ც
- 3.10 - 7ც
- 3.20 - 2ც
- 3.21 - 2ც
- 3.24 - 3ც
- 3.24 - 2ც
- 3.25 - 2ც
- 5.19.1 - 6ც
- 5.19.2 - 6ც
- 7.8.2 - 1ც
- 7.8.3 - 1ც
- 30მ 8.1.1 - 2ც
- 95მ 8.1.1 - 1ც
- 75მ 8.2.1 - 2ც
- შუქ. ტ7-3ც
- მედროშე 1 ადამიანი
- ქვეითთა მოძრაობა
- ღობურა
- სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება



ქ. თბილისი ზ. საკანდელიძის ქუჩის (ს.კ 01.14.08.001.088; 01.14.08.001.142) მიმდებარედ ღობის მოწყობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS
ტელ: 577 155575

შემსრულებელი	შ.პ.ს "STS" (ნიკა სიდამონიძე ტელ: 598-77 88 48)	ნახაზის დასახელება	თარიღი	2021 წელი
დამკვეთი	შ.პ.ს "მეტრა დეველოპმენტი"	საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა	მასშტაბი	პირობითი

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

1.26 -5ც

3.20 - 2ც

3.21 - 2ც

3.24 - 3ც

3.24 - 2ც

3.25 - 2ც

5.19.1 - 2ც

5.19.2 - 2ც

7.8.2 - 1ც

7.8.3 - 1ც

8.2.1 - 2ც

შუქ. ტ7-3ც

მედროშე 1 ადამიანი

ქვეითთა მოძრაობა

სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება

სამშენებლო ღობე გეგმაში

შენიშვნა: სამშენებლო ღობე მოქცეულია საკადასტრო შიგნით.



ქ. თბილისი ზ. საკანდელიძის ქუჩის (ს.კ 01.14.08.001.088; 01.14.08.001.142) მიმდებარედ მშენებლობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.

STS SMART TRANSPORTATION SOLUTIONS
ტელ: 577 155575

შემსრულებელი	შ.პ.ს "STS" (ნიკა სიდამონიძე ტელ: 598-77 88 48)	ნახაზის დასახელება	თარიღი	2021 წელი
დამკვეთი	შ.პ.ს "მეტრა დეველოპმენტი"	საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა	მასშტაბი	პირობითი

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

	1.21.2-1ც
	1.21.3- 1ც
	1.26 -3ც
	2.5 - 1ც
	2.6 - 1ც
	3.10 - 3ც
	3.20 - 2ც
	3.21 - 2ც
20	3.24 - 2ც
40	3.24 -1ც
20	3.25 - 2ც
	4.2.1 -1ც
	4.2.2 -1ც
	5.19.1 - 4ც
	5.19.2 - 4ც
70მ	8.1.1 - 1ც
110მ	8.2.1 - 2ც
	შუქ. ტ7-2ც
	ქვეითთა მოძრაობა
	ღობურა



შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია "ოდმ 218.6.014-2014" და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ მოთხოვნების შესაბამისად

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 100 მეტრს.
2. ბუფერული ზონაა 15 მეტრი.
3. სავალი ნაწილის დახურული ზოლის სიგანის 0.5 მ და ნაკადის სიჩქარის 20 კმ/სთ შესაბამისი განდევნის ზონის სიგრძე შესაბამისი საანგარიშო ფორმულის მიხედვით შეადგენს 5 მ-ს.
4. ფუნქციური ზონის სიგრძე შეადგენს 110 მ-ს.
5. ნახაზზე ნაჩვენებია დროებითი საგზაო ნიშნები.
6. სქემაზე დატანილია დროებითი საგზაო მონიშვნა.
7. ქვეითთა ნაკადი მოძრაობს სამუშაოთა წარმოების ზონის მოპირდაპირე მხარეს.

ქ. თბილისი ზ. საკანდელიძის ქუჩის (ს.კ 01.14.08.001.088; 01.14.08.001.142) მიმდებარედ შესასვლელ-გამოსასვლელის მოწყობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.(ეტაპი I)			STS SMART TRANSPORTATION SOLUTIONS ტელ: 577 155575	
შემსრულებელი	შ.პ.ს "STS" (ნიკა სიდამონიძე ტელ: 598-77 88 48)	ნახაზის დასახელება	თარიღი	2021 წელი
დამკვეთი	შ.პ.ს "მეტრა დეველოპმენტი"	საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა	მასშტაბი	პირობითი

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

- 1.26 -2ც
- 3.10 - 2ც
- 3.20 - 1ც
- 3.24 - 1ც
- 3.24 -1ც
- 5.19.1 - 2ც
- 5.19.2 - 2ც
- შუქ. ტ7-1ც
- ქვეითთა მოძრაობა
- ღობურა



შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია "ოდმ 218.6.014-2014" და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ მოთხოვნების შესაბამისად

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 100 მეტრს.
2. გეომეტრიული პარამეტრებიდან გამომდინარე აცილებისა და ბუფერული ზონები არ გვაქვს.
3. ნახაზზე ნაჩვენებია დროებითი საგზაო ნიშნები.
4. სქემაზე დატანილია დროებითი საგზაო მონიშვნა.
5. ქვეითთა ნაკადი მოძრაობს სამუშაოთა წარმოების ზონის მოპირდაპირე მხარეს.

ქ. თბილისი ზ. საკანდელიძის ქუჩის (ს.კ 01.14.08.001.088; 01.14.08.001.142) მიმდებარედ მისასვლელი გზის მოწყობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა. (ეტაპი II)				STS SMART TRANSPORTATION SOLUTIONS ტელ: 577 155575	
შემსრულებელი	შ.პ.ს "STS"	(ნიკა სიდამონიძე ტელ: 598-77 88 48)	ნახაზის დასახელება	თარიღი	2021 წელი
დამკვეთი	შ.პ.ს "მეტრა დეველოპმენტი"		საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა	მასშტაბი	პირობითი

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები



გთხოვთ იხილოთ მიმაგრებული ფაილები, რათა უკეთ აღქმადი იყოს არსებული სიტუაცია, საპროექტო ტერიტორია, გენ.გეგმა და საგზაო მოზრაობის ორგანიზბის სქემა.


აღნიშნულ მონაკვეთში ქვაფენილიანი გზა, მოქცეულია შენობის ქვემოთ. (ჭრილი 1)
ქვაფენილით მოპირკეთებული საფეხმავლო გზა, განკუთვნილია ქვეითებისთვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული გზა მოემსახურება სახანძრო და სასწრაფო დახმარების სატრანსპორტო საშუალებებს (სხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალება არ მოხვდება ქვაფენილიან გზაზე.) ქვაფენილიანი გზა მოწყობილია ტორტუარის დონეზე.
QN18266890
მიწისქვეშა პანდუსიდან გამოსასვლელი.(იხ. დანართი 1)
მიწისქვეშა პანდუსზე შესასვლელი.(იხ. დანართი 1)
ბოძკინტი
ჩვეულებრივი ქვაფენილი
ბეტონის ბორდიური ქვა
ასფალტი
ბეტონის ბორდიური ქვა
ბეტონის ბორდიური ქვა
ბეტონის ბორდიური ქვა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01211881230**
თარიღი: **07/07/2021**
პინი: **7703**

ადრესატი: ნესტორი არჩუაძე
პირადი ნომერი: 01021011607
მისამართი: ოთარ ჩხეიძის 7, ოფისი 2ბ

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო ნესტორ,

თქვენი მ/წლის 30 ივნისის განცხადების (მერიაში რეგისტრაციის №19/01211811505-16; 30.06.2021წ.) პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისი, ზ.საკანდელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:01.14.08.001.088; 01.14.08.001.142) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმებას, გაცნობებთ, წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია.

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია იმ პირობით, რომ ტროტუარების ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთება საჯარო სერვიტუტით.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ, 30 კალენდარული დღის ვადაში დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია იმ პირობით, რომ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ცვლილების შემთხვევაში სქემა ხელახლა საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

შენიშვნა: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/kLbIxD7WVKKkW94

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01243163715**
გაცემის თარიღი: **13/11/2024**

ადრესატი: ნიკოლოზ ლეკვეიშვილი
პირადი ნომერი: 01015018064
მისამართი: თბილისი ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. N 6/10 ბ. 65

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა 2024 წლის 8 ნოემბრის №0124313739-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2024 წლის 8 ნოემბრის №0124313739-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონი , ნაკვეთი 01/119; ბაგების მიმდებარედ , წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით. , (ნაკვეთი N1/88)-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.14.08.001.142; 01.14.08.001.088) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმდა იმ პირობით, რომ ტროტუარებისა და სამანქანო გზის ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთება საჯარო სერვიტუტით, ხოლო სერვიტუტის არეალის განსაზღვრა მოხდება ტროტუარის დასაწყისიდან ტროტუარის დასასრულამდე სამანქანო შესასვლელ-გამოსასვლელი გზის ჩათვლით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად, ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებას ექვემდებარება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 30 ივნისის განცხადების N 19/01211811505-16 შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/1xaxH2JlEe8oO3U

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

22/11/2024

MIA 3 24 03563825

LLC TIMM ARCHITECTURE-ს
მოქალაქე ნიკოლოზ ლეკვეიშვილს

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ, ქ. თბილისში, ვაკის რაიონი , ნაკვეთი 01/119; ბაგების მიმდებარედ , წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით. , (ნაკვეთი N1/88)-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.08.001.142; 01.14.08.001.088) საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი მუდმივი სქემის შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ს.ს.ი.პ. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის (2024 წლის 13 ნოემბრის 16-01243163715) თანხმობას შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემას, ხოლო ტერიტორიაზე მისასვლელი გზა აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით თანდართული სქემის შესაბამისად.

დანართი: სქემა 1 ფაილად

პატივისცემით,

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

მისამართი:

ქ. თბილისი ზ.საკანდელიძის ქუჩის მიმდებარედ
(ს.კ. 01.14.08.001.088; 01.14.08.001.142)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

თარიღი: 2024 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შპს "მეტრა"

შემსრულა: მიშა ტატუროშვილი
ტელ: 577-66-40-43

შ.პ.ს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75

შეამოწმა: ვახტანგ თავდიშვილი
ტელ: 551-14-14-84

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

2.3- 1ც

4.1.1 - 2ც

პარკირებაზე შესასვლელი

აღნიშნული გზა მოწყობილია ქვეითთათვის, ხოლო საგზაოზე შემთხვევაში მიმძრავებს სახანძრო და სახსრაში დახმარების ავტომობილები.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დასრულებული სქემა შეთანხმებულია წერილის ნომრით 16-01211881230. ამ ეტაპზე ხდება გენგეგმის კორექტირება



შენიშვნა:
პანდუსის პარამეტრები განისაზღვრება 41-ე დაღგენილების ქვეთავი 406 -ის მიხედვით.

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

შპს ჯეოინჟინირინგი
საინჟინრო კვლევა-ძიება
და დაპროექტება

სამშენებლო ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა, ქ. თბილისში, ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტისათვის

ტექნიკური ანგარიში

თბილისი
2023

შპს ჯეოინჟინირინგი
საინჟინრო კვლევა-ძიება
და დაპროექტება

სამშენებლო ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა, ქ. თბილისში, ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტისათვის

ტექნიკური ანგარიში

საინჟინრო კვლევები განყოფილების
ხელმძღვანელი ლ. გორგიძე

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების
სექტორის ხელმძღვანელი დ. სირბილაძე

გეოტექნიკური ლაბორატორიის
ხელმძღვანელი რ. ყაველაშვილი

თბილისი
2023

ს ა რ ჩ ე ვ ი

ტექსტური ნაწილი

1. შესავალი 3

2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლილობა 4

3. ბუნებრივი გარემოს ზოგადი აღწერა და არსებული მდგომარეობის შეფასება 4

3.1 გეომორფოლოგია 4

3.2 გეოლოგიური აგებულება 5

3.3 ჰიდროგეოლოგიური პირობები 5

3.4 2021 წელს წარმოქმნილი გეოლოგიური მოვლენები და ქვაბულის ფერდოს დეფორმაციის გამომწვევი მიზეზები 7

4. ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები 12

5. კლდოვანი მასივის ხარისხი და რეიტინგი 19

6. დასკვნები და რეკომენდაციები 21

გრაფიკული ნაწილი

რიგ. №	ნახაზის დასახელება	ნახაზის ნომერი	ფურცლების რაოდენობა
1	უბნის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა მ-ბი 1:500	GC-2305-1	1
2	მეწყრული უბნის გრძივი საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები, მ-ბი 1:200	GC-2305-2	6

დანართები

დანართის №	დანართის დასახელება	ფურცლების რაოდენობა
1	**ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები**	14
2	**ლაბორატორიული კვლევის შედეგები:**	
2.1	ქანების სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე ბუნებრივი ტენიანობის პირობებში	16
2.2	ქანების სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში	29
2.3	გამოცდა ძვრაზე, ნაპრალების ზედაპირებზე	30
2.4	ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ჯამური უწყისები	9
2.5	ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა სიდიდეების სტატისტიკური დამუშავება	8

დანართის №	დანართის დასახელება	ფურცლების რაოდენობა
3	კლდოვანი ქანების ნაჩენების დეტალური გეომექანიკური აღწერა და მასივის ჯამური რეიტინგი, ნაჩენების მიხედვით	21
4	ფოტოდოკუმენტაცია	5
5	ტექნიკური დავალება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შესრულებაზე	2

1. შესავალი

წინამდებარე ტექნიკურ ანგარიშში მოცემულია სამშენებლო ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები, ქ თბილისში ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტისათვის (ს/კ 01.14.08.001.142 და 01.14.08.001.088). საცხოვრებელი კომპლექსი შედგება სამი თერთმეთსართულიანი შენობისაგან: მიწისქვეშა ოთხსართულიანი და მიწისზედა შვიდსართულიანი. კვლევითი სამუშაოები შესრულდა შპს „ინეო“-სა (დამკვეთი) და შპს „ჯეოინჟინირინგს“ (შემსრულებელი) შორის 2023 წლის 14 თებერვალს დადებული ხელშეკრულების (ხელშეკრულება №GC-2305) შესაბამისად. გარდა ამისა, სამშენებლო ტერიტორიაზე 2022 წელს შპს „ჯეოინჟინირინგის“ მიერ ჩატარებული იქნა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები (GC-2203 ხელშეკრულების ფარგლებში), რომლის მიზანს შეადგენდა უბნის ამგები ქანების კვლევა, სამშენებლო ქვაბულის ზედა ხელოვნური ფერდოს დამეწყვრის მიზეზების დადგენა და რეკომენდაციების შემუშავება მისი სასტაბილიზაციო ღონისძიებების შემუშავების მიზნით.

კვლევითი სამუშაოები განხორციელდა დამკვეთის მიერ გაცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად.

მიმდინარე საველე, ლაბორატორიული და კამერალური სამუშაოების მთელი კომპლექსი შესრულდა 21.02.2023-დან 24.03.2023-მდე პერიოდში. უბნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევისათვის შესრულებული სამუშაოების სახეობები და მოცულობები მოცემულია ქვემოთ, ცხრილ-1.1-ში.

ცხრილი 1.1. შესრულებული სამუშაოების სახეობები და მოცულობები

#	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა
1	**საველე სამუშაოები**		
1.1	პერსონალისა და აღჭურვილობის მობილიზაცია/დემობილიზაცია	1	1
1.2	სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური რეკოგნოსცირება	1	7
1.3	ჭაბურღილების ბურღვა, სიღრმით 10-25 მ.	1 ჭაბ.	9
		1 მ.	125
1.4	ჭაბურღილების დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური დოკუმენტაციის შედგენა	1 მ.	125
2	**ლაბორატორიული ცდები კლდოვან ქანებზე**		
2.1	გრუნტების და კლდოვანი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევა	კომპლექსი	45
3	**საოფისე სამუშაოები**		
3.1	საველე და ლაბორატორიული კვლევითი მასალების დამუშავება; საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილების შედგენა, კლდოვანი ქანების ნორმატიული-საანგარიშო პარამეტრების განსაზღვრა	1 კომპლექსი	1 კომპლექსი
3.2	კლდოვანი მასივის ნაპრალიანობის მახასიათებლების განსაზღვრა და ხარისხის შეფასება	1 კომპლექსი	1 კომპლექსი
3.3	ტექნიკური ანგარიშის შედგენა	ანგარიში	1

საკვლევი ჭაბურღილები გაიბურღა ორმაგი სვეტური მილით და დაუზიანებელი კერნის ამოღებით ჭაბურღილიდან. ამოღებული კერნიდან შეირჩა საჭირო რაოდენობის ნიმუშები, ქანების ლითოლოგიურ სახესხვაობათა ფიზიკურ-მექანიკური თვისებების სრულფასოვანი კვლევისათვის. ფიზიკურ-მექანიკური თვისებები გამოკვლეულია შესაბამისი სტანდარტების შესაბამისად. კვლევის შედეგები მოცემულია ანგარიშის დანართების ნაწილში (დანართი-2).

2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლილობა

სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებში შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ 2018 წელს ჩატარებული იქნა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, ასევე 2022 წელს, შპს „ჯეოინჟინირინგმა“, შპს „კონექსი“-ს დაკვეთით, ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, რომლის მიზანს შეადგენდა სამშენებლო ქვაბულის ზედა ხელოვნური ფერდოს დამეწყვრის მიზეზების დადგენა და რეკომენდაციების შემუშავება მისი სასტაბილიზაციო ღონისძიებების შემუშავების მიზნით. წინამდებარე ტექნიკური ანგარიშის შედგენისას გამოყენებულია, როგორც რაიონის შესახებ აქამდე არსებული საფონდო და ლიტერატურული მასალები, ასევე 2022 წელს შპს. „ჯეოინჟინირინგი“-ს მიერ ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მონაცემები.

3. ბუნებრივი გარემოს ზოგადი აღწერა და არსებული მდგომარეობის შეფასება

3.1 გეომორფოლოგია

გეომორფოლოგიურად სამშენებლო უბანი განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე ფორმირებული ვერეს ეროზიული ხევის მარჯვენა ფერდობზე. ფერდობის ექსპოზიცია ჩრდილოეთურია, მისი დახრილობა სხვადასხვა ადგილას 20-დან 30 გრადუსამდე იცვლება. ფერდობის რელიეფი სამშენებლო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ძლიერაა სახეცვლილი აქ სხვადასხვა დროს უკვე ჩატარებული და ამჟამად მიმდინარე მშენებლობების გავლენით, სამშენებლო ქვაბულების, გზების ვაკისების და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდეგ. უშუალოდ გამოკვლეული უბნის მიკრორელიეფი ძლიერ გართულებულია აქ სამშენებლო ქვაბულის ამოღების, შემდგომ მისი ციცაბო ხელოვნური ფერდოს დამეწყვრისა და ქვაბულში მეწყრული მასის ჩაწოლის გამო. სამშენებლო მოედანს ზედა მხრიდან გარშემო მიუყვება მეწყრული საფეხური, ცვალებადი დახრილობის და სიმაღლის კლდოვანი კარნიზის სახით, ხოლო მის ქვემოთ, ხელოვნურ ქვაბულში, ჩაწოლილია მეწყრული მასა, მსხვილი კლდოვანი ბლოკებისა და ლოდნარ-ღორღოვანი მასის ნარევის სახით, ძლიერ ტეხილი, დახრილი ზედაპირით.

3.2 გეოლოგიური აგებულება

გეოლოგიურად უბანი აგებულია ზედა ეოცენური (P_2^3) წყების ნალექებით, რომელიც ლითოლოგიურად ქვიშაქვებითა და არგილიტებითაა წარმოდგენილი. ქანები ნაპრალოვანია, მეტი ნაპრალიანობით ხასიათდება არგილიტები, ხოლო ქვიშაქვებისათვის შედარებით ნაკლები ნაპრალიანობაა დამახასიათებელი. ყველაზე გამწე, - შრეებრიობის ნაპრალები ფერდობის დახრის თანხვედრილია. შრეთა დაქანების აზიმუტი 350-358 გრადუსია, დახრის კუთხე – 27-32 გრადუსი. კლდოვანი ქანების გამოფიტულობა მასივში ასევე სხვადასხვაა, იგი მეტია ზედაპირულ ზონაში და თანდათან კლებულობს სიღრმეში. აღნიშნული ლითოლოგიური სახესხვაობების შემცველობა მასივში არაერთგვაროვანია და ამ თვალსაზრისით ფერდობის აგებულებაში გამოიყოფა დასტები, ქვიშაქვებისა და არგილიტების სხვადასხვა პროცენტული შემცველობით, რაც გავლენას ახდენს ზოგადად მასივის სიმტკიცის თვისებებეზე და რის მიხედვითაც უბნის ამგებ კლდოვან მასივში გამოიყოფა ურთიერთგანსხვავებული თვისებების მქონე 2 საინჟინრო-გეოლოგიური ელემეტი. ელემენტების დახასიათება მოცემულია ქვემოთ, პუნქტ-3-ში.

საქართველოში ამჟამად მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების - პნ 01.01-09 (სეისმომედეგი მშენებლობა) მიხედვით, სამშენებლო უბნის სეისმურობა, MSK64 სკალის შესაბამისად, არის 8 ბალი, სეისმურობის კოეფიციენტით A=0.17.

3.3 ჰიდროგეოლოგიური პირობები

ჰიდროგეოლოგიურად სამშენებლო უბანზე გრუნტის წყლის ჰორიზონტი, მუდმივი, დამყარებული დონით, გამოვლენილი არ არის. როგორც თავდაპირველად, შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ (2018წ), ისე ამჯერად შპს „ჯეოინჟინირინგი“-ს მიერ (2022წ) ჩატარებული საინჟინრო-გეოლგიური კვლევების დროს გრუნტის (ნაპრალური) წყლები გამოვლენილია ჭაბურღილების უმეტესობაში, თუმცა წყლების გამოვლენის დონე და შესაბამისად ნიშნულები დიდ ფარგლებში მერყეობს, რაც მიუთითებს არა ერთიანი ჰორიზონტის არსებობაზე არამედ მათ სპორადულ გავრცელებაზე უბნის ფარგლებში. გადმოცემის მიხედვით, გრუნტის წყლის ჟონვა კლდოვანი მასივიდან, ნაპრალური წყლების სახით, დაფიქსირებულია აგრეთვე მშენებლების მიერ სხვადასხვა დონეზე, სამშენებლო ქვაბულის დამუშავების დროსაც, ქვაბულის ზედა ფერდოდან. სავარაუდოა, რომ კლდოვანი მასივის ნაპრალური წყლების ჰორიზონტი, მუდმივი, დამყარებული დონით, ჭაბურღილებით გამოკვლეულზე უფრო ღრმადაა განლაგებული და შესაბამისად წყლის ინფილტრაცია ამ ჰორიზონტიდან ადგილობრივი ეროზიის ბაზისის (ანუ მდ. ვერეს) მიმართულებით, ხდება უფრო ღრმად. შპს „ჯეოინჟინირინგის“ მიერ 2022 და 2023 წლებში გაბურღილ ჭაბურღილებში დაფიქსირებული გრუნტის (ნაპრალური) წყლების გამოვლენის დონეები და შესაბამისად მათი ნიშნულები, მოცემული ქვემოთ, ცხრილის სახით.

გრუნტის (ნაპრალური) წყლის გამოვლენის დონეები 2022 წ გაბურღულ ჭაბურღილებში და დონის ნიშნულები

ჭაბურღილის №	1 2022წ	2 2022წ	3 2022წ	4 2022წ	5 2022წ	6 2022წ
გრუნტის წყლის გამოვლენის დონე ჭაბურღილში, მ.	-	19.4	2.6	12.55	6.4	3.9
გრუნტის წყლის დონის ნიშნული, მ.	-	605.9	602.50	604.50	608.80	604.75

გრუნტის (ნაპრალური) წყლის გამოვლენის დონეები 2023 წ გაბურღულ ჭაბურღილებში და დონის ნიშნულები

ჭაბურღილის №	1 2023წ	2 2023წ	3 2023წ	4 2023წ	5 2023წ	6 2023წ	7 2023წ	8 2023წ	9 2023წ
გრუნტის წყლის გამოვლენის დონე ჭაბურღილში, მ.	-	-	-	-	-	-	-	-	-
გრუნტის წყლის დონის ნიშნული, მ.	-	-	-	-	-	-	-	-	-

ცხრილში მოცემული მონაცემების მიხედვით, გრუნტის (ნაპრალური) წყლის დონეების აბსოლუტურ ნიშნულებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობებია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჭაბურღილებს შორის მანძილები მცირეა და, შესაბამისად, უბნის ფართობი არ არის დიდი, ცხადი ხდება, რომ გრუნტის (ნაპრალური) წყალი სპორადულადაა გავრცელებული და ერთ მთლიან ჰორიზონტს არ ქმნის. კლდოვანი მასივის სპორადულ გაწყლიანებაზე მიუთითებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ 2022 წელს გაბურღულ №1 ჭაბურილში, სიღრმით 25 მ და 2023 წელს გაბურღულ ჭაბურღილებში, გრუნტის წყალი საერთოდ არ არის გამოვლენილი. სპორადული გაწყლიანება განპირობებულია ტერიტორიის ზედაპირზე მოსული ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციით, სიღრმეში. ინფილტრირებული წყლების შემდგომი მიგრაცია კი დამოკიდებულია ნაპრალიანობის ინტენსივობაზე კლდოვანი მასივის ამა-თუ იმ არეში, რაც მეტად არაერთგვაროვანია. ზოგადად კი, უფრო მეტი წყალგამტარებით ხასიათდება ქვიშაქვის შრეები, მათში არსებული ნაპრალების მეტი ღრულობით, ხოლო ნაკლები წყალგამტარობით – არგილიტების შრეები, ნაპრალების ნაკლები ღრულობით. ამდენად, წყლის ინფილტრაციის გზაზე მეტ წინააღმდეგობას ქმნიან და მასივის გარკვეულ არეებში მის დროებით დაგროვებას იწვევენ უმეტესად არგილიტების შრეები ან შრეთა დასტები, რა დროსაც ხდება ამ შრეების უფრო მეტი გაწყლიანება. დიდი ალბათობით, სამშენებლო ქვაბულის ზედა ფერდობზე განვითარებული ზვავ-მეწყრის სხლეტვის სიბრტყის ფუნქცია სწორედ ასეთი გზით გაწყლიანებულმა/დასველებულმა არგილიტის შრემ (შრეებმა) შეასრულა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასივის გაწყლიანება შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო ატმოსფერულმა ნალექებმა (რა დროსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ინტენსივობას), არამედ ხელოვნურმა ფაქტორებმაც, როგორიცაა ფერდობის ზედა ნაწილში სხვადასხვა მიზეზით წყლის დაღვრა (მაგ. მცენარეთა მორწყვის მიზნით), წყალ-კანალიზაციის ქსელებიდან გაჟონვები ან სხვა ხელოვნური ფაქტორები.

3.4 2021 წელს წარმოქმნილი გეოლოგიური მოვლენები და ქვაბულის ფერდოს დეფორმაციის გამომწვევი მიზეზები

გეოლოგიური მოვლენების განვითარების თვალსაზრისით უბანზე რთული მდგომარეობა შექმნა. სამშენებლო ქვაბულის დამუშავებით, ბუნებრივი ფერდობის ზედა მხრიდან წარმოიქმნა ციცაბო ხელოვნური ფერდო. ფერდობისათვის ძირის გამოცლის შემდეგ, რომელიც მანამდე კონტფორსის როლს არულებდა მისი ზედა ნაწილისათვის, დაიწყო გრავიტაციული ძალების მოქმედებით გამოწვეული დაძაბულობების გადანაწილება მასივში. გარკვეული დროის მერე, იმის შემდეგ, რაც მძვრელმა ძალამ გადააჭარბა შემაკავებელ ძალებს, 2021 წელს ფერდობზე განვითარდა მოვლენა, რომელიც (მისი განვითარების იმ თავისებურებებიდან გამომდინარე, რაც ვიდეომასალაში ჩანს) საინჟინრო-გეოლოგიაში იწოდება როგორც ზვავ-მეწყერი. მოვლნის თავისებურებას ამ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ გრუნტის ან კლდოვანი ქანების გარკვეული მასა დროში სწრაფად გადაადგილდება (რაც, როგორც აღინიშნა კარგად ჩანს ვიდეოჩანაწერში).

ფერდობზე ზვავ-მეწყრული მოვლენის განვითარება ორი უმთავრესი, ერთიმეორესთან მჭიდროდ დაკავშირებული ფაქტორით იყო განპირობებული:

პირველი და უთავრესია ის, რომ ქანების დაშრევება, ანუ შრეთა დახრილება, თითქმის თანხვდენილია ფერდობის დახრილობისა;

მეორეა ის, რომ კლდოვანი მასივის აგებულებაში მონაწილე არგილიტი, როგორც დანალექი შეცემენტებული ჯგუფის მტვროვან-თიხოვანი ქვეჯგუფის ქანი, დაბალი სიმტკიცითა და ძვრისადმი დაბალი წინააღმდეგობით გამოირჩევა. მისი ეს თვისებები, როგორც მტვროვან-თიხოვანი გენეზისის ქანისა, განსაკუთრებით დაბლდება წყლოვან გარემოში. სავარაუდოა, რომ ფედობის ჩამოწოლის მიზეზი არ გამხდარა არგილიტების რაიმე მიზეზით გამოწვეული დამატებითი გაწყლიანება, ამის განსაკუთრებული მიზეზები არ იკვეთება, არამედ ეს მოხდა არგილიტების ისეთი ტენიანობის პირობებში, რაც მათ ჰქონდათ ფერდობის ჩამოჭრამდეც. ზვავ-მეწყრის განვითარება, კი, როგორც აღინიშნა, მოხდა ფერდობის შიგნით, მასივში ძაბვათა გადანაწილების შემდეგ.

გარდა ამისა, ზვავ-მეწყრის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ კლდოვან მასივში არსებული სხვადასხვა (ლითოგენეტური, გამოფიტვის, გრავიტაციული და სვა) გენეზისის ნაპრალთა სისტემები. უბანზე ქანების ნაპრალიანობა დეტალურადაა გამოკვლეული, ჩატარებულია ნაპრალური აგეგმვა და შედგენილია ნაპრალიანობის ვარდი-დაგრამები. ნაპრალური აგეგმვის ადგილები მონიშნულია სანჟინრო-გეოლოგიურ რუკაზე (იხ. გრაფიკული ნაწილი, ნახაზი № GC-2305-1). ნაპრალური აგეგმვის მასალები, სრული სახით, მოცემულია დანართ-3-ში, ხოლო მონაცემთა საფუძველზე შედგენილი ვარდი-დიაგრამები, ზოგიერთ ნაჩენში, მათ ფოტოებთან ერთად, მოცემულია ქვემოთ.

2023 წელს ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისა და დაკვირვებების საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ამჟამად ადრე (2021) ჩამომეწყრილი ქანები დროებით სტაბილურ მდგომარეობაშია, თუმცა საპროექტო ნაგებობების მშენებლობისათვის აუცილებელია ფერდოს მდგრადობის უზრუნველყოფა სპეციალური პროექტით გაანგარიშებული გამაგრებითი სამუშაოების საფუძველზე

ნაჩენი: OC-05

ადგილმდებარეობა: X 477084, **Y** 4617531

კლდოვანი მასივის აღწერა: ქვიშაქვები (80%) არგილიტების შუაშრეებით (20%).

ნაჩენის ფოტო



ვარდი დიაგრამა №1

ჭრილი 1-1'



პირობითი აღნიშვნები

II — ნაპრალთა სისტემა (II) და მის მიერ მოცული ზონა

1 —— 1' — საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილის მიმართულება

ფერდობის მიმართულება

ნაჩენი: OC-06

ადგილმდებარეობა: X 477100, **Y** 4617502

კლდოვანი მასივის აღწერა: ქვიშაქვები არგილიტების შუაშრეებით-15-20%-მდე

ნაჩენის ფოტო



ვარდი დიაგრამა №2

ჭრილი 2-2'



<u>პირობითი აღნიშვნები</u>

ნაპრალთა სისტემა (II) და მის მიერ მოცული ზონა

2——2' საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილის მიმართულება

ფერდობის მიმართულება

ნაჩენი: OC-07

ადგილმდებარეობა: X 477143, **Y** 4617492

კლდოვანი მასივის აღწერა: ქვიშაქვები (80%) არგილიტების შუაშრეებით (20%).

ნაჩენის ფოტო





ვარდი-დიაგრამებზე გამოსახული ნაპრალთა სისტემებისა და ფერდობის მიმართულების სივრცობრივი ურთიერთმიმართების მიხედვით კეთდება დასკვნა, რომ კლდოვან მასივში არსებული ნაპრალთა 3 სიტემიდან, ფერდობის მდგრადობაზე უარყოფითად მოქმედებს I და III სისტემები, რომელთა დახრა, ისევე როგორც თვით ფერდობისა, სუბჰრდილოეთურია, სივრცობრივი ორიენტაციის ელემენტებით:

- ფერდობი – დაქანების აზიმუტი – 25^0;
- I სისტემა – დაქანების აზიმუტი – 352^0, დახრის კუთხე - 30^0;
- III სისტემა – დაქანების აზიმუტი – 75^0, დახრის კუთხე - 75^0.

აღნიშნულ სისტემებს შორის ფერდობის მდგრადობას ყველაზე მეტ საშიშროებას უქმნის I სისტემა, ანუ ქანების შრეთაშორისი და მათი თანხვედრილი შრისშიდა ნაპრალები, რადგან მათი გამწეობა ფართობულად დიდია, მთელ სიგრძეზე მიუყვება ფერდობს და ამდენად ამ ნაპრალების სახით გამწე შესუსტების ზედაპირებია წარმოქმნილი დიდი მასის ბლოკებს შორის. შესუსტების ზედაპირებს შორის ძვრისადმი განსაკუთრებული მგრძნობელობით გამოირჩება არგილიტის შრეები და მათი ზედაპირები.

III სისტემაში ნაპრალთა გამწეობა ნაკლებია, მათ გასწვრივ წარმოქმნილი შესუსტების ზედაპირებით ხდება შედარებით მცირე მასის ბლოკების გამხოლოება, თუმცა ნაპრალთა ეს სისტემა, მისი სივრცობრივი ორიენტაციის გათვალისწინებით, დამატებით ხელისშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ფერდობზე დეფორმაციული მოვლენების განვითარების თვალსაზრისით. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამ სისტემის ნაპრალების დახრის კუთხის გათვალისინებით (72-80^0), მისი როლი შემციდრება, თუ ქვაბულის ხელოვნური ფერდოს დახრილობა არ გადააჭარბიბს 70 გრადუსს.

რაც შეეხება ნაპრალთა II სისტემას, ფერდობზე დეფორმაციული მოვლენების განვითარებაში თუმცა ვერ ითამაშებს წამყვან როლს, მაგრამ იქნება ასეთი მოვლენის ხელშემწყობი ფაქტორი, რამდენადაც მნიშვნელოვანი როლს ასრულებს კლდოვანი მასივის დანაწევრების თვალსაზრისით.

4. ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიურ გარემოში, 2022 და 2023 წლებში ჩატარებული სავველე და ლაბორატირიული გამოკვლევის შედეგების მიხედვით, გამოიყოფა 5 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (**სგე**). მათ შორის ერთი ელემენტი (**სგე**-1) წარმოადგენს სამშენებლო ქვაბულში ჩაწოლილი ზვავ-მეწყრის მასას და მიეკუთვნება არაკლდოვანი კლასის დანალექი-შეუცემენტებელი ჯგუფის მსხილმარცვლოვანი ქვეჯგუფის ლოდნარი გრუნტის ტიპს; ერთი ელემენტი (**სგე**-2) მიეკუთვნება არაკლდოვანი კლასის ხელოვნური (ტექნოგენური - tQ_{IV}) ჯგუფის, ყრილის გრუნტების ქვეჯგუფს; ერთი ელემენტი (**სგე**-3) დელუვიური-კოლუვიური გენეზისის გრინტია, რომელიც თხელ ფენადაა განლაგებული კლდოვან ქანებზე სამშენებლო მოედნის მიმდებარე ზონაში და წარმოადგენს არაკლდოვანი კლასის დანალექი-შეუცემენტებელი ჯგუფის მტვროვან-თიხოვანი ქვეჯგუფის გრუნტის ხვინჭა-ღორღოვან სახეობას, ხოლო ორი ელემენტი (**სგე**-4^1 და **სგე**-4^2) მიეკუთვნება კლდოვანი კლასის დანალექი შეცემენტებული ჯგუფის ნამსხვრევი წვრილნატეხოვანი და მტვროვან-თიხოვანი ქვეჯგუფის გრუნტებს (ქანებს), რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან მათი შემადგენელი ლითოლოგიური სახესხვაობების - ქვიშაქვებისა და აგრგილიტების სხვადასხვა პრცენტული შემცველობით.

გრაფიკულად ელემენტები ასახულია უბნის საინჟინრო-გეოლოგიურ რუკაზე და ჭრილებზე (იხ. გრაფიკული ნაწილი, ნახაზები №GC-2305-1 და №GC-2305-2). საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების გავრცელება სიღრმეში და მათი სისქეები, ჭაბურღილების მიხედვით, მოცემულია ცხრილ-3.1-ში და 3.2-ში.

ცხრილი-3.1 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების გავრცელება სიღრმეში და მათი სისქეები, 2022 წელს გაბურღული ჭაბურღილების მიხედვით

სგე №	სგე-ს აღწერა	სიღრმის ინტერვალი, მ სისქე, მ.					
		ჭაბ. №1 (2022)	ჭაბ. №2 (2022)	ჭაბ. №3 (2022)	ჭაბ. №4 (2022)	ჭაბ. №5 (2022)	ჭაბ. №6 (2022)
1	ლოდები და ცალკეული დიდი ზომის ბლოკები, ღორღის და ხვინჭის შემცველობით, ზოგან თიხნარ-ქვიშნარის შემავსებლით (სამშენებლო ქვაბულში დაგროვებული, 2021 წლის 5 ივლისს განვითარებული ზვავ-მეწყრული მოვლენისგან ჩამონაზვავი გრუნტი)	-	-	-	-	-	-
2	ხვინჭა და ღორღი ქვიშა-ქვიშნარის შემავსებლით, ზოგან ასფალტის საფარით (ყრილის გრუნტი - tQ_{IV})	-	-	-	-	-	-
3	თიხნარი, მაგარი და ნახევრად-მაგარი, ღია ყავისფერი, ხვინჭის და ღორღის შემცველობით (დელუვიურ-პროლუვიური გრუნტი - dpQ_{IV})	0.0-0.9 0.90	0.0-1.4 1.4	0.0-0.4 0.4	0.0-0.5 0.5	0.0-3.6 3.6	0.0-2.0 2.0
4[1]	ქვიშაქვები 75-85%-დე, არგილიტების 15-25%-დე თხელი და ფურცლოვანი შუაშრეებით (ზედა ეოცენური - P_2^3)	0.90-6.4 5.5 7.3-10.0 2.7 12.0-25.0 >13.0	1.4-2.5 1.1 4.0-23.4 19.4 25.1-27.0 >1.9	0.4-9.4 9.0 11.35-16.2 4.85 19.0-25.0 >6.0	0.5-9.3 8.8 11.6-23.0 >11.4	3.6-20.4 16.8 23.6-26.0 >2.4	2.0-6.0 4.0 7.4-13.0 5.6 15.8-25.0 >9.2
4[2]	არგილიტები 55-65%-დე, ქვიშაქვების 45-35%-დე შუაშრეებით. (ზედა ეოცენური - P_2^3)	6.4-7.3 0.9 10.0-12.0 2.0	2.5-4.0 1.5 23.4-25.1 1.7	9.4-11.35 1.95 16.2-19.0 2.8	9.3-11.6 2.3	20.4-23.6 3.2	6.0-7.4 1.4 13.0-15.8 2.8

ცხრილი-3.2 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების გავრცელება სიღრმეში და მათი სისქეები, 2023 წელს გაბურღული ჭაბურღილების მიხედვით

სგე №	სგე-ს აღწერა	სიღრმის ინტერვალი, მ სისქე, მ.								
		ჭაბ.№1 (2023)	ჭაბ.№2 (2023)	ჭაბ.№3 (2023)	ჭაბ.№4 (2023)	ჭაბ.№5 (2023)	ჭაბ.№6 (2023)	ჭაბ.№7 (2023)	ჭაბ.№8 (2023)	ჭაბ.№9 (2023)
1	ლოდები და ცალკეული დიდი ზომის ბლოკები, ღორღის და ხვინჭის შემცველობით, ზოგან თიხნარ-ქვიშნარის შემავსებლით (სამშენებლო ქვაბულში დაგროვებული, 2021 წლის 5 ივლისს განვითარებული ზვავ-მეწყრული მოვლენისგან ჩამონაზვავი გრუნტი)	-	0.0-1.4 1.4	0.0-1.4 1.4	0.0-1.0 1.0	0.0-0.7 0.70	0.0-4.5 4.5	0.0-5.5 5.5	0.0-4.0 4.0	0.0-8.5 8.5
2	ხვინჭა და ღორღი ქვიშა-ქვიშნარის შემავსებლით, ზოგან ასფალტის საფარით (ყრილის გრუნტი - tQ_{IV})	0.0-2.0 2.0	-	-	-	-	-	-	-	-
3	თიხნარი, მაგარი და ნახევრადმაგარი, ღია ყავისფერი, ხვინჭის და ღორღის შემცველობით (დელუვიურ-პროლუვიური გრუნტი - dpQ_{IV})	-	-	-	-	-	-	-	-	-
4[1]	ქვიშაქვები 75-85%-მდე, არგილიტების 15-25%-მდე თხელი და ფურცლოვანი შუაშრეებით (ზედა ეოცენური - P_2^3)	4.5-8.0 3.5 - 8.0-10.0 >2.0	1.4-10 >8.6	1.4-3.0 1.6 - 6.5-10.0 >3.5	1.0-1.5 0.5 - 5.0-10.0 >5.0	0.7-1.8 1.1 - 3.0-10.0 >7.0	4.5-8.0 3.5 - 15.7-18.0 >2.3	11.0-15.0 >4.0	4.0-17.0 13.0	8.5-13.2 4.7 - 16.0-22.0 >6.0
4[2]	არგილიტები 55-65%-მდე, ქვიშაქვების 45-35%-მდე შუაშრეებით. (ზედა ეოცენური - P_2^3)	2.0-4.5 2.5	-	3.0-6.5 3.5	1.5-5.0 3.5	1.8-3.0 1.2	8.0-15.7 7.7	5.5-11.0 5.5	17.0-20.0 >3.0	13.2-16.0 2.8

გრუნტების აღნიშნული ელემენტებიდან, **სგე-1** ანუ მეწყრული მასა, მთლიანად მოსახსნელია და გასატანია სამშენებლო მოედნის ფარგლებიდან, ხოლო **სგე-2** და **სგე-3** არსებით როლს არ თამაშობენ შენობის დაფუძნების და ფერდობის მდგრადობის შეფასების თვალსაზრისით. ამდენად, აღნიშნული ელემენტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ლაბორატორიულად გამოკვლეული

არ არის. მათი ზოგიერთი მახასიათებლის ნორმატიული მნიშვნელობა, შედგენილობიდან და ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მიღებულია შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

როგორც გეოლოგიური აგებულების აღწერით ნაწილშიც იყო აღნიშნული სამშენებლო უბანზე კლდოვანი მასივი აგებულია ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანების წყებით. წყება ლითოლოგიურად ქვიშაქვებისა და არგილიტების შრეებისა და დასტების მორიგეობითაა წარმოდგენილი. საკვლევი ჭაბურღილების მონაცემებით, სხვადასხვა ადგილზე და სიღრმის სხვადასხვა ინტერვალში ქვიშაქვებისა და არგილიტების პროცენტული თანაფარდობა სხვადასხვაა. ლაბორატორიულად განსაზღვრულია როგორც ქვიშაქვების, ასევე არგილიტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა სიდიდეები, ხოლო მიღებულ მონაცემთა საფუძველზე, გაანგარიშებულია აღნიშნული საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების (**სგე-4**[1]-სა **და სგე-4**[2]-ის) ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა სიდიდეები, მათში ქვიშაქვებისა და არგილიტების პროცენტული შემცველობის შესაბამისად. ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები გამოკვლეულია ჭაბურღილებიდან ორმაგი სვეტური მილით ამოღებული დაუზიანებელი კერნიდან აღებული ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევით სრული კერნის ფოტოდოკუმენტაცია მოცემულია დანართი-4-ში.

კლდოვანი მასივის შემადგენელი ლითოლოგიური სახესხვაობის – ქვიშაქვებისა და არგილიტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები გამოკვლეულია როგორც 2023 წელს (ხელშეკრულების №GC-2305), ასევე 2022 წელს (ხელშეკრულების №GC-2203) გაბურღული სხვადასხვა ჭაბურღილიდან და სიღრმის სხვადასხვა ინტერვალიდან აღებული ნიმუშებით. ლაბორატორიული კვლევის შედეგები მოცემულია დანართებში (იხ. დანართები 2.1–2.5). ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ცალკეული მახასიათებლების განსაზღვრათა რაოდენობები მოცემულია ცხრილ-3.3-ში.

ცხრილი-3.3 კლდოვანი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებლების განსაზღვრათა რაოდენობები

ცდის სახეობა	ქვიშაქვა		არგილიტი	
	ბუნებრივი ტენიანობის პირობებში	წყალგაჯე-რებული	ბუნებრივი ტენიანობის პირობებში	წყალგაჯე-რებული
2022 წ (ხელშეკრულების №GC2203)				
სიმკვრივის განსაზღვრა	45	12	28	16
სიმტკიცის გამოცდა	29	22	19	10
ძვრისადმი წინაღობა	19 (ბუნებრივი ტენიანობის პირობებში)	8 (წყლით დასველებულ ზედაპირზე)	11 (ბუნებრივი ტენიანობის პირობებში)	7 (წყლით დასველებულ ზედაპირზე)
2023 წ (ხელშეკრულების №GC2305)				

ცდის სახეობა	ქვიშაქვა		არგილიტი	
	ბუნებრივი ტენიანობის პირობებში	წყალგაჯე-რებული	ბუნებრივი ტენიანობის პირობებში	წყალგაჯე-რებული
სიმკვრივის განსაზღვრა	12	23	4	6
სიმტკიცის გამოცდა	10	23	3	6
ძვრისადმი წინაღობა	-	9 (წყლით დასველებულ ზედაპირზე)	-	6 (წყლით დასველებულ ზედაპირზე)

ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები განისაზღვრა ლაბორატორიული კვლევის შედეგების სტატისტიკური დამუშავებით. მიღებული შედეგები მცემულია 3.4 – 3.7 ცხრილებში.

ცხრილი-3.4 ქვიშაქვების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები

№№ რიგზე	მექანიკური თვისების მახასიათებელი		განზომილება	განსაზღვრის რაოდენობა		ნორმატიული მნიშვნელობა, A^n	საანგარიშო მნიშვნელობა		
				საწყისი	საბოლოო		ρ=0.85	ρ=0.95	ρ=0.99
ბუნებრივი ტენიანობის პირობებში									
1	სიმკვრივე, ρ	საფუძველში	გრ/სმ³	57	57	2.483	2.475	2.471	2.465
		ფერდოზე					-	-	-
2	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, σ		მპა	39	39	41.202	38.761	37.245	35.473
3	ძვრის მახასიათებლები ნაპრალების ზედაპირებზე, ბუნებრივი ტენიანობის პირობებში	C	მპა	19	19	0.410	0.387	0.373	0.355
4		φ	გრად	19	19	33.37	32.4	31.8	31.0
წყალგაჯერებულ მდგომარობაში									
5	სიმკვრივე, ρ	საფუძველში	გრ/სმ³	42	42	2.516	2.508	2.503	2.497
		ფერდოზე					-	-	-
2	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, σ		მპა	39	39	28.654	27.182	26.268	25.199
3	ძვრის მახასიათებლები ნაპრალების ზედაპირებზე, დასველებული ზედაპირის პირობებში	C	მპა	17	17	0.265	0.238	0.221	0.201
4		φ	გრად	17	17	26.779	26.081	25.637	25.094

ცხრილი-3.5 არგილიტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები

№№ რიგზე	მექანიკური თვისების მახასიათებელი			განზომილება	განსაზღვრის რაოდენობა		ნორმატიული მნიშვნელობა, A^n	საანგარიშო მნიშვნელობა		
					საწყისი	საბოლოო		ρ=0.85	ρ=0.95	ρ=0.99
ბუნებრივი ტენიანობის პირობებში										
1	სიმკვრივე, ρ	საფუძველში		გრ/სმ³	34	34	2.326	2.310	2.300	2.289
		ფერდოზე						-	-	-
2	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, σ			მპა	22	22	12.600	11.333	10.541	9.566
3	ძვრის მახასიათებლები ნაპრალების ზედაპირებზე, ბუნებრივი ტენიანობის პირობებში		C	მპა	11	11	0.335	0.297	0.273	9.015
4			φ	გრად	11	11	29.343	28.564	28.061	27.389
წყალგაჯერებულ მდგომარობაში										
5	სიმკვრივე, ρ	საფუძველში		გრ/სმ³	24	24	2.355	2.334	2.320	2.304
		ფერდოზე						-	-	-
2	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, σ			მპა	22	22	5.514	4.902	4.519	4.048
3	ძვრის მახასიათებლები ნაპრალების ზედაპირებზე, დასველებული ზედაპირის პირობებში		C	მპა	13	12	0.208	0.188	0.175	0.158
4			φ	გრად	13	13	21.288	19.879	18.965	17.790

ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ცხრილებში მოცემული სიდიდეებიდან გამომდინარე:

- **ქვიშაქვები ბუნებრივი ტენიანობის პირობებში** კლასიფიცირდება, როგორც საშუალო სიმტკიცის კლდოვანი ქანი, ვინაიდან სიმტკიცის მახასიათებლის ნორმატიული მნიშვნელობა σ_c =41.202 მპა (50≥σ_c>15მპა);
- **ქვიშაქვები წყალგაჯერებულ მდგომარეობაში** კლასიფიცირდება, როგორც საშუალო სიმტკიცის კლდოვანი ქანი, ვინაიდან სიმტკიცის მახასიათებლის ნორმატიული მნიშვნელობა σ_c =28.65 მპა (50≥σ_c>15მპა);

  ქვიშაქვები უმეტესად წყალში დარბილებადია, დარბილების კოეფიციენტით K_{saf}<0.75.

- **არგილიტები ბუნებრივი ტენიანობის პირობებში** კლასიფიცირდება, როგორც მცირე სიმტკიცის კლდოვანი ქანი, ვინაიდან სიმტკიცის მახასიათებლის ნორმატიული მნიშვნელობა σ_c =12.6 მპა (15≥σ_c≥5მპა);
- **არგილიტები წყალგაჯერებულ მდგომარეობაში** კლასიფიცირდება, როგორც მცირე სიმტკიცის ნახევრადკლდოვანი ქანი, ვინაიდან სიმტკიცის მახასიათებლის ნორმატიული მნიშვნელობა σ_c =5.5 მპა (15≥σ_c≥5მპა);

ჩატარებული ცდიდან ყველა შემთხვევაში არგილიტები წყალში დარბილებადია, დარბილების კოეფიციენტი 0.40÷0.47 K_{caf}<0.75.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, კლდოვანი მასივი ქვიშაქვებისა და არგილიტების სხვადასხვა სისქის შრეებისა და დასტების მორიგეობითაა აგებული. ქანების ეს ორი ლითოლოგიური სახსხვაობა სიღრმის სხვადასხვა ინტერვალში სხვადასხვა პროცენტული თანაფარდობითაა წარმოდგენილი, რის მიხედვითაც მასივში გამოიყოფა ორი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, რომელთა შორის ერთ-ერთ მათგანში ჭარბობს ქვიშაქვები, ხოლო მეორე მათგანში უმეტეს ნაწილს არგილიტები შეადგენენ. ელემენტების აღწერა და მათი ფიზიკუ-მექანიკური თვისებების ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები, მოყვანილია ქვემოთ.

<u>სგე-4[1]</u> – ქვიშაქვები (75-85%) არგილიტების (15-25%) თხელი და ფურცვლოვანი შუაშრეებით (ზედა ეოცენური - P_2^3). ელემენტი გამოვლენილია ყველა საკვლევ ჭაბურღილში, სიღრმის სხვადასხვა ინტერვალში, აღნიშნული პროცენტული შედგენილობის დასტების სახით (იხ. სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები, ნახაზი №GC-2305-2). იგი კლდოვანი მასივის საერთო მოცულობაში დაახლოებით 80%-ს იკავებს. წყებაში ქვიშაქვების შრეების სისქე დიდ დიაპაზონში მერყეობს, ტლანქშრეებრივიდან (>100სმ) საშუალოშრეებრივანდე (10-20სმ), ხოლო არგილიტები უმეტესად თხელშრეებრივია (2-10 სმ).

სგე-4[1]-ის სიმკვრივისა და სიმტკიცის მახასიათებელთა მნიშვნელობები მიღებულია ქვიშაქვებისა და არგილიტების მახასიათებელთა მნიშვნელობების გასაშუალებით, დასტაში მათი პროცენტული თანაფარდობის გათვალისწინებით (ქვიშაქვები 80%, არგილიტები 20%). ელემენტის მახასიათებელთა ამგვარად მიღებული ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები მოცემულია ცხრილ-3.6-ში.

ცხრილი-3.6 სგე-4[1]-ის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა გასაშუალებული სიდიდეები

სგე №	სიმკვრივე, ρ გრ/სმ³		სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, Rc მპა	
	ბუნებრივ მდგომარეობაში	წყალგაჯერებული	ბუნებრივ მდგომარეობაში	წყალგაჯერებული
4[1]	2.45	2.48	35.49	24.03

<u>სგე-4[2]</u> – არგილიტები (50-65%), ქვიშაქვების (50-35%) შუაშრეებით. (ზედა ეოცენური - P_2^3). ელემენტი გამოვლენილია ყველა საკვლევ ჭაბურღილში, სიღრმის სხვადასხვა ინტერვალში, აღნიშნული პროცენტული შედგენილობის დასტების სახით (იხ. სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები, ნახაზი №GC-2305-2). იგი კლდოვანი მასივის საერთო მოცულობაში 20%-ს იკავებს. წყებაში შრეების სისქე ძირითადად 2-20 სმ-ის ფარგლებში მერყეობს.

სგე-4[2]-ის სიმკვრივისა და სიმტკიცის მახასიათებელთა მნიშვნელობები მიღებულია ქვიშაქვებისა და არგილიტების მახასიათებელთა მნიშვნელობების გასაშუალებით, დასტაში მათი პროცენტული თანაფარდობის გათვალისწინებით

(არგილიტები 60%, ქვიშაქვები 40%). ელემენტის მახასიათებელთა ამგვარად მიღებული ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები მოცემულია ცხრილ-3.7-ში.

ცხრილი-3.7 სგე-4[2]-ის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა გასაშუალებული სიდიდეები

სგე №	სიმკვრივე, ρ გრ/სმ[3]		სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, ϭ მპა	
	ბუნებრივ მდგომარეობაში	წყალგაჯერებული	ბუნებრივ მდგომარეობაში	წყალგაჯერებული
4[2]	2.39	2.42	24.04	14.77

5. კლდოვანი მასივის ხარისხი და რეიტინგი

შესრულებული საველე ნაპრალური აგეგმვისა და ლაბორატორიული კვლევების მონაცემთა საფუძველზე განსაზღვრულია კლდოვანი მასივის კლასიფიკაციის პარამეტრები. მახასიათებელთა სიდიდეები და შესაბამისი შეფასება, ფერდობზე (ზვავ-მეწყრის მთავარ საფეხურში) გამოკვლეული ნაჩენების მიხედვით (ნაჩენები №5, №6 და №7), ქვემოთ მოცემულია ცხრილური სახით. ცხრილში მოცემულია როგორც კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგის სიდიდეები, ასევე ეს სიდიდეები ფაქტორის გათვალისწინებით [რომელიც ითვალისწინებს რეიტინგის მიღებული მნიშვნელობის კორექტირებას, ფერდობისა და ქანების შრეთა (ანუ შრეებრიობის ნაპრალების) დახრილობის ურთიერთმიმართების ფაქტორს. ჩვენს შემთხვევაში ფაქტორი ამცირებს კლდოვანი მასივის რეიტინგის ჯამურ მნიშვნელობას, ფერედობისა და შრეთა დახრილობის თანხვედრის გამო.

ცხრილი-4.1 კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგი (RMR), ნაჩენების მიხედვით

ნაჩენის №	სგე №	კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგი (RMR)		B ფაქტორის სიდიდე	ჯამური რეიტინგის სიდიდე, B ფაქტორის გათვალისწინებით	
		სიდიდე	შეფასება		სიდიდე	შეფასება
5	4[1]	58	III-საშუალო	-25	33	IV-ცუდი
6		58	III-საშუალო		33	დაბალი
7		53	III-საშუალო		28	დაბალი

გარდა ამისა, კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგი შეფასდა აგრეთვე ჭაბურღილებიდან ამოღებული დაუზიანებელი სრული კერნის მონაცემების მიხედვით. შეფასების შედეგები ასახულია ცხრილ-4.2-ში.

ცხრილი-4.2 კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგი (RMR), ნაჩენების მიხედვით

ნაჩენის №	სგე №	კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგი (RMR)		B ფაქტორის სიდიდე	ჯამური რეიტინგის სიდიდე, B ფაქტორის გათვალისწინებით
		სიდიდე	შეფასება		
1	4^1	49	III-საშუალო	-25	24-ცუდი
2		48	III-საშუალო		23-ცუდი
3		46	III-საშუალო		21-ცუდი
4		49	III-საშუალო		24-ცუდი
5		47	III-საშუალო		22-ცუდი
6		44	III-საშუალო		19-ძალიან ცუდი
1	4^2	39	IV-ცუდი		14-ძალიან ცუდი
2		38	IV-ცუდი		13-ძალიან ცუდი
3		39	IV-ცუდი		14-ძალიან ცუდი
4		39	IV-ცუდი		14-ძალიან ცუდი
5		37	IV-ცუდი		12-ძალიან ცუდი
6		43	III-საშუალო		18-ძალიან ცუდი

ცხრილ-4.1-ში მოყვანილი მონაცემების შესაბამისად, ფერდობის ზედა ნაწილში, №5, №6 და №7 ნაჩენებში, რომლებიც ზვავ-მეწყრის მთავარ საფეხურში, **სგე-4^1**-ის გავრცელების ზონაშია გამოკვლეული (ქვიშაქვები - 75-85%, არგილიტების თხელი და ფურცვლოვანი შუაშრეებით - 15-25%), კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგის მნიშვნელობა, ფაქტორის გათვალისწინებით, შეადგენს 28-33-ს, რის მიხედვითაც მასივი კლასიფიცირდება, როგორც **IV-ცუდი.**

ცხრილ-4.2-ში მოყვანილი სიდიდეების შესაბამისად, ჭაბურღილებიდან ამოღებული დაუზიანებელი სრული კერნის მდგომარეობის მიხედვით, კლდოვანი მასივის **4^1** ელემენტის (ქვიშაქვები-75-85%, არგილიტების თხელი და ფურცვლოვანი შუაშრეებით-15-25%) ჯამური რეიტინგის საშუალო მნიშვნელობა, ფაქტორის გათვალისწინებით, მერყეობს 19-დან 24-მდე (საშუალო-22.17), რის მიხედვითაც იგი კლასიფიცირდება, როგორც **II-ცუდი.**

4^2 ელემენტის (არგილიტები 55-65%-მდე, ქვიშაქვების 45-35%-დე შუაშრეებით) ჯამური რეიტინგის საშუალო მნიშვნელობა, ფაქტორის გათვალისწინებით, მერყეობს 12-დან 18-მდე (საშუალო-14.16), რის მიხედვითაც იგი კლასიფიცირდება, როგორც **V-ძალიან ცუდი.**

6. დასკვნები და რეკომენდაციები

1. უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, ბუნებრივი გარემოს ფაქტორთა (გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, გეოდინამიკური) სირთულიდან გამომდინარე, არის III კატეგორიის (რთული). სირთულის განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორებია გეოდინამიკური ფაქტორი, რაც აქ მეწყრის წარმოქმნასთანაა დაკავშირებულ და რაც თავის მხრივ განპირობებულია ადგილობრივი გეომორფოლოგიური, გეოლოგიურ-სტრუქტურული და ლითოლოგიური აგებულების თავისებურებებით;
2. სამშენებლო ქვაბულის ზედა ციცაბო ხელოვნურ ფერდოზე ზვავ მეწყრის სახით გრუნტების დიდი მასის ჩამოწყვეტის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ:
   - ფერდობის დახრისა და მის ამგებ გეოლოგიურ სტრუქტურაში შრეთა დახრილობის თანხვედრა;
   - ფერდობის ლითოლოგიურ აგებულებაში ქვიშაქვის შრეებს შორის არგილიტების შუაშრეების არსებობა, ძვრისადმი დაბალი წინააღმდეგობით;
   - სამშენებლო ქვაბულის დამუშავების დროს ფერდობის ფუძის მოჭრა, შესაბამისად შრეების წაკვეთა ფუძეში და ამით მათთვის მანამდე კონტრფორსის სახით არსებული საყრდენის გამოცლა;
3. უბანზე ჰიდროგეოლოგიური პირობები არ არის რთული, სამშენებლო მოედნის ფარგლებში გაბურღულ ჭაბურღილებში, დაძიებულ სიღრმემდე გრუნტის წყალი არ გამოვლენილა. ფერდობის ზედა ნაწილში გაბურღულ ჭაბურღილებში გამოვლენილია მხოლოდ კლდოვან ქანებში არსებული ნაპრალური წყლები, სპორადული გავრცელებით. ფერდობის უფრო მეტი გაწყლიანება (რაც შეიძლება გამოიწვიოს როგორც უხვნალექიანობამ ასევე ხელოვნურმა გაწყლიანებამ (დიდი რაოდენობით წყლის დაღვრამ, წყალიკანალიზაციის სისტემიდან გაჟონვამ ან სხვა) გამიწვევს შრეებრიობისა და სხვა გენეზისის ნაპრალების ზედაპირების მეტ დასველებას და გაზრდის ფერდობზე დეფორმაციული მოვლენების განვითარების რისკს;
4. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული კვლევებით, სამშენებლო უბანზე გამოვლენილია სულ 5 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (**სგე**), მათ შორის სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტ არაკლდოვანი კლასის მეოთხეულ გრუნტებში (**სგე**-1, **სგე**-2 და **სგე**-3), ხოლო ორი ელემენტი კლდოვანი კლასის ძირითად ქანებში (**სგე**-4[1] და **სგე**-4[2]). საპროექტო გაანგარიშებებში გამოყენებული უნდა იქნას გრუნტების (საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების-**სგე**) ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა ის ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები, რომლებიც ქვემოთ, 5.1, 5.2 და 5.3 ცხრილებშია მოცემული.

ცხრილი-5.1 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების (ᲡᲒᲔ) ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა ნორმატიული სიდიდეები

ᲡᲒᲔ №	სიმკვრივე, ρ გრ/სმ³		შინგნი ხახუნის კუთხე, φ°		შეჭიდულობა, *C* მპა		სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, ნ მპა		პირობითი საანგარიშო წინაღობა, R_0 მპა	დარბილების კოეფიციენტი, K_{saf}
	ბუნებრივ მდგომარეობაში	წყალგაჯერებული	ბუნებრივ მდგომარეობაში	წყალგაჯერებული	ბუნებრივ მდგომარეობაში	წყალგაჯერებული	ბუნებრივ მდგომარეობაში	წყალგაჯერებული		
1	2.20	2.22	45	40	0.003	0.002	-	-	0.5	-
2	1.95	1.97	35	30	0.008	0.005	-	-	0.4	-
3	1.75	1.80	25	20	0.04	0.02	-	-	0.25	-
4[1]	2.45	2.48	-	-	-	-	35.49	24.03	-	0.70
4[2]	2.39	2.42	-	-	-	-	24.04	14.77	-	0.60

ცხრილი-5.2 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების (ᲡᲒᲔ) ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა საანგარიშო სიდიდეები

ᲡᲒᲔ №	სიმკვრივე, ρ გრ/სმ³			სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, ნ მპა		
